ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2026 წლის 20 იანვარი

ქ. ტყიბული

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 მაისის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

„ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 მაისის №52 დადგენილების დანართ №1-ში (www.matsne.gov.ge,17.05.2018 წ., 190020020.35.125.016318) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება.

1. **დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 2. საკრებულოს წევრის ხარჯების ზღვრული ოდენობა არ აღემატება ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს და შეადგენს თვეში 990,3 (ცხრაას ოთხმოცდაათი ლარი და 30 თეთრი) ლარს“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **იზოლდა ნემსაძე**